

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19

2019 წლის 28 ივნისი

დაბა ასპინძა

„ასპინძის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 დეკემბრის №71 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ასპინძის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 დეკემბრის №71 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 24/12/2018წ., 190020020.35.140.016376) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ასპინძის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა მელიქიძე

დანართი

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი თავი I

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	სულ	სულ		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	6 677,0	9 386,7	3 704,4	5 682,3	8 938,3	4 009,8	4 928,5
შემოსავლები	6 658,7	9 078,4	3 704,4	5 374,0	8 928,3	4 009,8	4 918,5
არაფინანსური აქტივების კლება	18,4	308,3	0,0	308,3	10,0	0,0	10,0
გადასახდელები	8 106,1	8 215,0	3 574,4	4 640,5	10 915,4	4 237,9	6 677,5
ხარჯები	3 202,9	3 287,4	0,0	3 287,4	5 440,9	935,4	4 505,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	4 840,8	4 927,5	3 574,4	1 353,1	5 474,5	3 302,6	2 171,9



ვალდებულებების კლება	60,9						
ნაშთის ცვლილება	-1429,1	1171,8	130,0	1041,8	-1977,1	-228,2	-1748,9

მუხლი 2. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი									
დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	6 658,7	2 714,1	3 944,6	9 078,4	3 704,4	5 374,0	8 928,3	4 009,8	4 918,5
გადასახადები	3 203,1	0,0	3 203,1	4 060,4	0,0	4 060,4	4 262,5	0,0	4 262,5
გრანტები	2 875,1	2 714,1	161,0	4 399,4	3 704,4	695,0	4 135,8	4 009,8	126,0
სხვა შემოსავლები	580,4	0,0	580,4	618,7	0,0	618,7	530,0	0,0	530,0
ხარჯები	3 202,9	18,4	3 184,4	3 287,4	0,0	3 287,4	5 440,9	935,4	4 505,6
შრომის ანაზღაურება	757,9	0,0	757,9	947,2	0,0	947,2	1 198,0	0,0	1 198,0
საქონელი და მომსახურება	898,4	18,4	879,9	726,8	0,0	726,8	1 171,7	81,8	1 089,9
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	0,0	0,0	0,0	46,7	0,0	46,7	48,0	0,0	48,0
სუბსიდიები	1 138,7	0,0	1 138,7	1 194,4	0,0	1 194,4	1 355,0	0,0	1 355,0
გრანტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	226,3	0,0	226,3	227,4	0,0	227,4	256,5	0,0	256,5
სხვა ხარჯები	181,6	0,0	181,6	144,9	0,0	144,9	1 411,8	853,6	558,2
საოპერაციო სალდო	3 455,8	2 695,7	760,2	5 791,0	3 704,4	2 086,6	3 487,3	3 074,4	412,9
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4 824,0	3 079,5	1 744,5	4 619,2	3 574,4	1 044,8	5 464,5	3 302,6	2 161,9
ზრდა	4	3 079,5	1 762,8	4	3 574,4	1 353,1	5	3 302,6	2 171,9



	842,3			927,5			474,5		
კლება	18,4	0,0	18,4	308,3	0,0	308,3	10,0	0,0	10,0
მთლიანი სალდო	-1 368,2	-383,8	-984,3	1 171,8	130,0	1 041,8	-1 977,1	-228,2	-1 749,0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 429,1	-438,2	-990,8	1 171,8	130,0	1 041,8	-1 977,1	-228,2	-1 749,0
ზრდა	0,0	0,0	0,0	1 171,8	130,0	1 041,8	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	0,0			1 171,8	130,0	1 041,8	0,0		
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	1 429,1	438,2	990,8	0,0	0,0	0,0	1 977,1	228,2	1 749,0
ვალუტა და დეპოზიტები	1 429,1	438,2	990,8	0,0			1 977,1	228,2	1 749,0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სესხები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
აქციები და სხვა კაპიტალი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	-60,9	-54,4	-6,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



საშინაო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	60,9	54,4	6,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საგარეო	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
საშინაო	60,9	54,4	6,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

თავი II

ასპინძის მუნიციპალიტეტის შემოსავლები

მუხლი 3. ასპინძის მუნიციპალიტეტის შემოსავლები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 8 928,3 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი				2019 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
1	შემოსავლები	6 658,7	9 078,4	3 704,4	5 374,0	8 928,3	4 009,8	4 918,5
2	გადასახდელები	3 203,1	4 060,4	0,0	4 060,4	4 262,5	0,0	4 262,5
3	გრანტები	2 875,1	4 399,4	3 704,4	695,0	4 135,8	4 009,8	126,0
4	სხვა შემოსავლები	580,4	618,7	0,0	618,7	530,0	0,0	530,0

მუხლი 4. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 4 262,5 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	3 203,1	4 060,4	0,0	4 060,4	4 262,5	0,000	4 262,5
საშემოსავლო გადასახადი	549,0	124,5		124,5	0,0		
ქონების გადასახადი	2 654,2	3 935,8	0,0	3 935,8	3 600,0	0,000	3 600,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2 444,8	3 736,7		3 736,7	3 568,0		3 568,0



ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,3	0,6	0,0	0,6	0,0	0,000	0,0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0,3	0,0		0,0	0,0		0,0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე		0,6		0,6			
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	169,7	161,3	0,0	161,3	30,0	0,000	30,0
ფიზიკური პირებიდან	169,7	159,1		159,1	25,0		25,0
იურიდიული პირებიდან	0,0	2,3		2,3	5,0		5,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	39,4	37,2	0,0	37,2	2,0	0,000	2,0
ფიზიკური პირებიდან	3,9	2,4		2,4	1,0		1,0
იურიდიული პირებიდან	35,5	34,8		34,8	1,0		1,0
სხვა გადასახადები(დღგ)					662,5		662,5

მუხლი 5. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის გრანტები 4 135,8 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	კოდი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	2 875,1	4 399,4	3 704,4	695,0	4 135,8	4 009,8	126,0
სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	35,0	169,0		169,0	0,0		0,0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	2 840,1	4 230,4	3 704,4	526,0	4 135,8	4 009,8	126,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	126,0	526,0	0,0	526,0	653,2	527,2	126,0
გათანაბრებითი		0,0	400,0		400,0			



ტრანსფერი								
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		126,0	126,0		126,0	207,8	81,8	126,0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		0,0	0,0			445,4	445,4	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	2 714,1	3 704,4	3 704,4	0,0	3 482,5	3 482,5	0,0
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი		2 714,1	3 704,4	3 704,4		3 178,5	3 178,5	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		0			0,0	304,0	304,0	

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 207,8 ათასი ლარი, მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 55,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 70,0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურების საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 1,0 ათასი ლარი;

დ) მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველ-ყოფისათვის-81,8 ათასი ლარი.

მუხლი 6. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 530,0 ათ.ლარის ოდენობით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	580,4	618,7	0,0	618,7	530,0	0,0	530,0
შემოსავლები საკუთრებიდან	461,7	506,1	0,0	506,1	443,0	0,0	443,0
პროცენტები	94,4	119,9		119,8	23,0		23,0
დივიდენდები	0,0				0,0	0,0	0,0
რენტა	367,3	386,3	0,0	386,3	420,0		420,0



მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	353,0	358,2		358,2	420,0		420,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14,3	28,1		28,1	0,0	0,0	0,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	27,3	35,4	0,0	35,4	27,0	0,0	27,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	23,8	31,0	0,0	31,0	27,0		27,0
სანებართვო მოსაკრებელი	6,6	0,8		0,8	2,0		2,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადადების მოსაკრებელი		0,2		0,2			
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	17,2	29,9	0,0	29,9	25,0	0,0	25,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	3,5	4,4	0,0	4,4			
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0,0	0,0		0,0	0,0		0,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	3,5	4,4	0,0	4,4			
ჯარიმები, სანქციები და საურავები	85,1	38,0		38,0	50,0	0,0	50,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	6,4	39,1		39,1	10,0	0,0	10,0

თავი III

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ხარჯები 5 440,9 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		მათ შორის			მათ შორის			მათ შორის		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



	ხარჯები	3 202,9	18,4	3 184,4	3 287,4	0,0	3 287,4	5 440,9	935,4	4 505,6
	შრომის ანაზღაურება	757,9	0,0	757,9	947,2	0,0	947,2	1 198,0	0,0	1 198,0
	საქონელი და მომსახურება	898,4	18,4	879,9	726,8	0,0	726,8	1 171,7	81,8	1 089,9
	პროცენტი	0,0	0,0	0,0	46,7	0,0	46,7	48,0	0,0	48,0
	სუბსიდიები	1 138,7	0,0	1 138,7	1 194,4	0,0	1 194,4	1 355,0	0,0	1 355,0
	სოციალური უზრუნველყოფა	226,3	0,0	226,3	227,4	0,0	227,4	256,5	0,0	256,5
	სხვა ხარჯები	181,6	0,0	181,6	144,9	0,0	144,9	1 411,8	853,6	558,2

მუხლი 8. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 5 464,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 5 474,5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით: `

დასახელება				2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	32,5	0,0	32,5	48,1	0,0	48,1	204,4	0,0	204,4
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4 083,8	3 079,5	1 004,3	4 589,7	3 574,4	1 015,3	4 759,4	2 865,5	1 893,9
განათლება	144,4	0,0	144,4	5,3	0,0	5,3	348,1	301,6	46,5
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	580,1	0,0	580,1	284,4	0,0	284,4	19,1	0,0	19,1
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და	0	0,0	0	0,0	0,0	0,0	143,5	135,4	8,1



სოციალური უზრუნველყოფა									
სულ ჯამი	4 840,8	3 079,5	1 761,3	4 927,5	3 574,4	1 353,1	5 474,5	3 302,6	2 171,9

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 10,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების კლება	18,4	0,0	18,4	257,0	0,0	257,0	10,0	0,0	10,0
ძირითადი აქტივები	4,4		4,4	0,0			0,0		
არაწარმოებული აქტივები	13,9	0,0	13,9	257,0	0,0	257,0	10,0	0,0	10,0
მიწა	13,9		13,9	257,0		257,0	10,0		10,0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1 247,5	0,0	1 247,5	1 435,0	0,0	1 435,0	2 065,9	0,0	2 065,9



7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1 247,5	0,0	1 247,5	1 435,0	0,0	1 435,0	2 065,9		2 065,9
702	თავდაცვა	73,0	0,0	73,0	65,1	0,0	65,1	91,8	0,0	91,8
704	ეკონომიკური საქმიანობა	4 124,9	3 128,3	996,6	4 698,3	3 574,4	1223,9	4 470,5	2 512,1	1 958,4
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	213,0	2,1	210,9	136,7	0,0	136,7	867,3	304,0	563,7
70421	სოფლის მეურნეობა	213,0	2,1	210,9	136,7	0,0	136,7	867,3	304,0	563,7
7045	ტრანსპორტი	3 911,9	3 126,2	785,7	4 561,6	3 574,4	987,2	3 602,8	2 208,1	1 394,7
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3 911,9	3 126,2	785,7	4 561,6	3 574,4	987,2	3 602,8	2 208,1	1 394,7
705	გარემოს დაცვა	190,0	0,0	190,0	228,5	0,0	228,5	272,3		272,3
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	190,0	0,0	190,0	228,5	0,0	228,5	272,3		272,30
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	419,9	18,4	401,5	209,6	0,0	209,6	1 498,8	896,9	601,9
7061	ბინათმშენებლობა	87,2	0,0	87,2	7,3	0,0	7,3	600,7	543,6	57,1
7064	გარე განათება	291,3	0,0	291,3	161,8	0,0	161,8	180,0	0,0	180,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	41,4	18,4	23,0	40,5	0,0	40,5	718,1	353,3	364,8
707	ჯანმრთელობის დაცვა	60,7	0,0	60,7	60,0	0,0	60,0	203,1	135,4	67,7
7072	ამბულატორიული მომსახურება	0,7	0,0	0,7	0,0	0,0	0,0	144,5	135,4	9,1
70721	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება	0,7	0,0	0,7	0,0	0,0	0,0	144,5	135,4	9,1



7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	60,0	0,0	60,0	60,0	0,0	60,0	58,6	0,0	58,6
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 167,8	5,5	1 162,3	857,5	0,0	857,5	644,1	0,0	644,1
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	172,8	0	172,8	175,8	0,0	175,8	198,6	0,0	198,6
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	888,7	5,5	883,2	595,1	0,0	595,1	345,5	0,0	345,5
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	50,0	0,0	50,0	50,0	0,0	50,0	60,0		60,0
7086	სხვა არაკლასიფიცი- რებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	56,3	0,0	56,3	36,7	0,0	36,7	40,0	0,0	40,0
709	განათლება	588,1	0,0	588,1	419,7	0,0	419,7	1 403,8	693,4	710,4
7091	სკოლამდელი აღზრდა	588,1	0,0	588,1	419,7	0,0	419,7	818,1	301,6	516,5
7092	ზოგადი განათლება				0,0	0,0	0,0	585,7	391,8	193,9
710	სოციალური დაცვა	234,2	0,0	234,2	241,2	0,0	241,2	265,0		265,0
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	99,8	0,0	99,8	118,8	0,0	118,8	130,0		130,0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	64,8	0,0	64,8	84,2	0,0	84,2	90,0		90,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	35,0	0,0	35,0	34,6	0,0	34,6	40,0		40,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	134,5	0,0	134,5	122,4	0,0	122,4	135,0		135,0
	სულ	8 106,1	3 152,3	4 953,8	8 214,9	3 574,4	4 640,5	10 915,4	4 237,9	6 677,5

თავი IV

აპინძის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად, პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართულმა სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც



მნიშვნელოვანი წინაპირობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, რითაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, კულტურის, დასვენებისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2019 წელს სტრატეგია უცვლელია და ასპინძის მუნიციპალიტეტის ძირითადი მიმართულებებია:

1. ტურიზმის განვითარება, რაც თავის მხრივ, მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას.
2. ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, მოსახლეობის სოციალური დაცვა და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა.

3. ეფექტური მმართველობა.

მუხლი 10. ასპინძის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტები

ასპინძის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია -6 241,7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 00)

ასპინძის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების და ხიდების რეაბილიტაცია), მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია, ასპინძის ქუჩების გარე განათების მთლიანად დასრულება და არსებული ქსელის მოვლა-პატრონობა, ასევე დასუფთავების ღონისძიებები, სარწყავი არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლებში სასმელი წყლის ქსელის მოვლა-პატრონობა. აგრეთვე საპორექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

- მყარი ინფრასტრუქტურული ბაზის შექმნა;
- გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მეტი რეზილიტირებული გზა და ხიდი;
- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული გადაადგილება;
- ტურიზმის ობიექტებთან მარტივად დაკავშირება;
- მეტი განათებული ქუჩები;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

გაზრდილი უსაფრთხოება და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, კმაყოფილი მოსახლეობა.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია -3 602,9 ათასი ლარი. (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის მიზანი: საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება.

პროგრამის აღწერა: ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ქუჩების, და ხიდების რეაბილიტაცია, ასევე რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, მოხრეშვა, საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების მიხედვით შესაბამისი საგზაო ნიშნების, გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა. ზამთრის პერიოდში შიდა გზების ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება, რაც უზრუნველყოფს ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:



-გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მეტი რეაბილიტირებული გზა და ხიდი;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

-მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული გადაადგილება;

-ტურიზმის ობიექტებთან მარტივად დაკავშირება;

ქვეპროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერია.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია- 1 736,2 ათასი ლარი. (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ასევე მოხდება ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სარწყავი სისტემების მშენებლობა რეაბილიტაცია და მისი მოვლა-შენახვა, სოფლებში სასმელი წყლის ქსელის მოვლა-შენახვა, ასევე ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარკვეული ნაწილის დასუფთავება.

ბ.ა) წყლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია - 100,0 ათასი ლარი.(პროგრამული კოდი 03 02 02)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში სასმელი და სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია.

პროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბაში, აგრეთვე სოფლებში სასმელი და სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია.

შედეგების შეფასების ინდიკატორები: მუნიციპალიტეტში მოწესრიგებული სასმელი და სარწყავი სისტემები; კმაყოფილი მოსახლეობა.

პროგრამის განმახორციელებელია: ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია.

ბ.ბ) დასუფთავების ღონისძიებები: - 272,3 ათასი ლარი.(პროგრამული კოდი 03 02 03)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება, დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება.

პროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, დაბაში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება, აგრეთვე სოფლების ტერიტორიებზე ნარჩენების შეგროვება და გატანა ნაგავსაყრელამდე, დაბის ცალკეული ტერიტორიების თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაბაში მოძრაობის აღკვეთა, სასაფლაოს ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, სანიაღვრე არხების გაწმენდა, რაც გააუმჯობესებს დაბის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება, სუფთა გარემო;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

დასუფთავებული ქუჩები;

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია.

ბ.გ) გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 180,0 ათასი ლარი. (პროგრამული კოდი 03 02 04)

პროგრამის მიზანი: დაბაში მდგრადი გარეგანათების სისტემის შექმნა.

პროგრამის აღწერა: ასპინძის მუნიციპალიტეტისა და მასში შემავალი რამოდენიმე სოფლების რეაბილიტირებულ გზებზე ღამის განათება მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რის გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების



ახალი ქსელის მოწყობა. არსებული ქსელის ექსპლოატაცია და მოვლა-შენახვა, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

შექმნილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გარეგანათების ინფრასტრუქტურა. განათებული ქუჩები. უსაფრთხო გადაადგილება, კმაყოფილი მოსახლეობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

განათებული ქუჩების და უბნების რაოდენობის ზრდა ;

ქვეპროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერია და ა(ა)იპ გარე განათება.

ბ.დ) სარწყავი არხების მოწყობა რეაბილიტაცია - 200,0 ათასი ლარი. (პროგრამული კოდი 03 02 05)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მელიორაციული ობიექტების მოვლა-პატრონობა შენახვა, ასევე სოფლებში სასმელი წყლის ქსელის მოვლა-შენახვა.

პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, გრავიტაციული არხების წმენდითი სამუშაოები ნატანისაგან, დროებითი სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია, მილხიდების, დიუკერების და მოპირკეთებული წყალსატარების წმენდა, სადერეფაციო არხის წმენდა, სატუმბო სადგურების ძალოვანი აგრეგატების (ტუმბო,ძრავი) მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ელექტროაღრიცხვის და ელ.მოწყობილობების მიმდინარე რემონტი, სადაწნეო ქსელებზე შესადუღებელი სამუშაოების წარმოება, წყალსაცავზე- შემავსებელი და სამომხმარებლო გრავიტაციული არხების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები და წყალსაცავის ტერიტორიის კეთილმოწყობა. სოფლებში სასმელი წყლების ქსელის, რეზერვუარების და გამანაწილებელი ჭების მიმდინარე რემონტი.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

აღდგენილი და მოვლილი სარწყავი არხები, რაც ხელს უწყობს ასპინძის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარებას, მოსახლეობის ადგილზე დამკვიდრებას და მათ ეკონომიურ სიძლიერეს.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

-გაზრდილი მელიორაციული ფართობი

-გაზრდილი მოსავლიანობა.

-სოფლებში გაუმჯობესებული სასმელი წყლის სისტემა .

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ ასპინძის მელიორაციისა და სოფლის სასმელი წყლის ცენტრი.

ბ.ე) ბინათმშენებლობა-600,7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 06)

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება. განხორციელდება ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრებელი კორპუსების და სხვა შენობების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია. ასევე სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების მეპატრონეებისათვის სამშენებლო მასალის შეძენა.

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის მრავალსართულიანი კორპუსები რომელებიც საჭიროებენ საძირკვლის გამაგრებას ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაციას. პროექტის მიზანია თანდათანობით განხორციელდეს დაბაში არსებული კორპუსების კეთილმოწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:



მუნიციპალიტეტის გაღამაზებული იერსახე;

გაუმჯობესებული საცხოვრებელი გარემო;

გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კეთილმოწყობილი და რეაბილიტირებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები და კმაყოფილი მოსახლეობა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერია .

ბ.ვ) მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოები -383,1 (პროგრამული კოდი 03 02 07)

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტში მდინარე ოთის წყალზე და სოფელ ივერიაში მისდასვლელ ხევზე ნაპირსამაგრი გაბიონების მოწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სოფლის მეურნეობის და მოსახლეობის დაცვა სტიქიის შემთხვევაში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კმაყოფილი მოსახლეობა.

გ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 335,0 ათასი ლარი. (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთხვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- შედგენილი პროექტებით და ხარჯთაღრიცხვებით განსაზღვრული სამუშაოების შეუფერხებელი შესრულება.

შეფასების ინდიკატორები:

- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.
- მომზადებული პროექტების რაოდენობის ზრდა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერია.

დ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები-567,7 ათასი ლარი. (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის მიზანი: სოფლებში პრიორიტეტული პრობლემების გადაჭრა.

პროგრამის აღწერა: სოფლების მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება.

შეფასების ინდიკატორები:

- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა სოფლად და კმაყოფილი მოსახლეობა.

2. განათლება- 1 403,8 ათასი ლარი. (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება.



მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო მიმართულებები სრულ თანხვედრაში იქნება სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმებთან. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებად და დაიწყება განათლების ხარისხის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა, რათა მყარი საფუძველი ჰქონდეთ აღსაზრდელების სასკოლო განათლების მისაღებად მომზადებისთვის. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახლი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება.

აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, დაიწყება აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიების განვითარება, პროფესიაში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

ასპინძის მუნიციპალიტეტისთვის მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელი განათლების განვითარებას. იგი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ამ პროგრამის მიზანია სასკოლო განათლებისათვის ნორჩი აღსაზრდელების მომზადება, მათი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა, შემოქმედებითი შესაძლებლობების და ინტერესების ხელშეწყობა.

ა) ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯები -470,5 ათასი ლარი. (პროგრამული კოდი 04 01 01)

პროგრამის მიზანია: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჰარმონიული განვითარება და მათი სკოლისათვის მომზადება.ის ითვალისწინებს ინტელექტუალურ, ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას.

პროგრამის აღწერა: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ვალდებულია: მისი პროგრამა იყოს დაწყებითი განათლების რეალიზაციის გარანტია, ზრუნავდეს ბავშვის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე, ყველა ბავშვს შეუქმნას განვითარების სათანადო პირობები და ხელი შეუწყოს ცხოვრების შემდგომ ეტაპზე წარმატების მისაღწევად.

მუნიციპალიტეტში სულ 742 0-6 წლამდე ასაკის ბავშვია რეგისტრირებული .ტერიტორიაზე განთავსებულ 4 საბავშვო ბაღში დღეის მდგომარეობით კონტინგენტი შეადგენს 390 აღსაზრდელს .დაახლოებით 100 ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას ისარგებლოს შესაბამისი მომსახურებით. შესწავლილ იქნა არსებულ ბაღებში სწავლების ხარისხი და დადგინდა რომ საბავშვო ბაღიდან გაშვებული 100 აღსაზრდელიდან 50 პროცენტი აკმაყოფილებს განათლების სტანდარტს; რაც ძირითადად ჯგუფში აღსაზრდელთა სიჭარბით არის გამოწვეული .

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა და შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვები.

შეფასების ინდიკატორები:

-ბაღებში ბავშვების კონტინგენტის ზრდის ტენდენცია;

- გაუმჯობესებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებება.

ბ) ბაღების რეაბილიტაცია-347,6 . (პროგრამული კოდი 04 01 02)

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების კეთილმოწყობა.

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში მოხდება სოფლებში არსებული ბაღების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა, ასევე არსებული საბავშვო ბაღების ინვენტარით აღჭურვა და ეზოების კეთილმოწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:



ბაღებისა გალამაზებული იერსახე და შექმნილი უკეთესი პირობები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კეთილმოწყობილი და რეაბილიტირებული ბაღები და კმაყოფილი მოსახლეობა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერია .

გ) საჯარო სკოლები-585,6 (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება -ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების კეთილმოწყობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

სკოლების გალამაზებული იერსახე,უკეთესი ინფრასტრუქტურა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კეთილმოწყობილი და რეაბილიტირებული სკოლები და კმაყოფილი მოსახლეობა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერია .

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი - 644,1 ათასი ლარი. (პროგრამული კოდი 05 00)

სპორტის, ახალგაზრდობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში. მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდობის ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში,სპორტული ტრადიციების დაცვა და მათი განვითარება. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც კულტურის სამსახურის მიერ ასევე კულტურის სფეროში შექმნილი ააიპ-ების მიერ.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა-198,6 ათასი ლარი. (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის მიზანია: ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, საზოგადოების აქტიური ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება.

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისა და სპორტული კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სპორტული ღონისძიებების რაოდენობის ზრდა;
- სპორტსმენთა სპორტული შედეგების გაუმჯობესება,
- სპორტის მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

შეფასების ინდიკატორები:

სპორტსმენთა რაოდენობის ზრდის და დაოსტატების მაჩვენებლები;

გაუმჯობესებული ბაზა.



ქვეპროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერია და არსებული სპორტული კლუბები.

ა.ა) სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა-8,6 ათასი ლარი. (პროგრამული კოდი 05 01 01)

პროგრამის მიზანია: სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების ჩატარება.

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტის პირველობა მინი-ფეხბურთში - პირველობაზე მონაწილეობას მიიღებენ, ასპინძის მუნიციპალიტეტში მოქმედი ორგანიზაცია დაწესებულებების, დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სოფლების მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდები. გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით,

მუნიციპალიტეტის პირველობა ნარდში- პირველობაზე მონაწილეობას მიიღებენ ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ნარდის მოყვარული, როგორც კაცები, ასევე ქალები, გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული მონარდები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, თასებითა და დიპლომებით.

მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში- პირველობაზე მონაწილეობას მიიღებენ ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ჭადრაკის მოყვარული, როგორც კაცები, ქალები, ასევე ბიჭები და გოგონები გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, თასებით, მედლებითა და დიპლომებით.

მუნიციპალიტეტის პირველობა ფეხბურთში - შეჯიბრება ჩატარდება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფეხბურთის მოყვარულთა გუნდების მონაწილეობით პირველობაზე დაიშვებიან 16 წელზე ზევით ასაკის ფეხბურთის მოყვარულები გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებითა და დიპლომებით. საუკეთესო ნომინაციებში გამოვლენილ მონაწილეებს გადაეცემათ სპეციალური პრიზები.

მუნიციპალიტეტის პირველობა ქართულ ჭიდაობაში - ჩატარდება ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. წონით კატეგორიებში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან მედლებით, თასებით, სიგელებითა და სპეციალური პრიზებით.

მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში - პირველობაზე მონაწილეობას მიიღებენ, ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მაგიდის ჩოგბურთის მოყვარულთა შორის. შეჯიბრება ჩატარდება ერთ კატეგორიაში ინდივიდუალურ მონაწილეობას მიიღებენ 16 წელზე ზევით ასაკის ორივე სქესის წარმომადგენლები, გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, თასებითა და დიპლომებით.

მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში - პირველობაზე ჩატარდება ასპინძის მუნიციპალიტეტში მოქმედი ორგანიზაცია დაწესებულებების, დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სოფლების მოყვარულ ფრენბურთის მოყვარულ კაცთა და ქალთა გუნდებს შორის. გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, თასებითა და დიპლომებით.

„საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“-ს მუნიციპალური თამაშების ორგანიზება-, საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის მუნიციპალური თამაშების ორგანიზება, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ასპინძის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლის გოგონათა და ვაჟთა გუნდები, სულ მონაწილეობას იღებს 400 მოსწავლე მუნიციპალური თამაშები ტარდება ხუთ სპორტულ სახეობაში, კერძოდ: გეზრბენში, კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, მინი-ფეხბურთში, თამაშებში ხუთივე სპორტულ სახეობებში მონაწილეობას იღებენ როგორც ბიჭებისა და ასევე გოგონების გუნდები. მუნიციპალურ თამაშებში გამარჯვებული გუნდები ჯილდოვდებიან მედლებით, თასებით, და სიგელებით.

მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის პროექტით გათვლილია - სპორტული ინვენტარის შეძენა, სპორტული ღონისძიებების სამსაჯო მომსახურების ხარჯები, სპორტულ ღონისძიებებისათვის სპორტული ფორმების შეძენა, მუნიციპალიტეტის მხრიდან სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო სატრანსპორტო ხარჯები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ჩატარებული მუნიციპალური სპორტული ღონისძიებები და გაზრდილია სპორტულ ღონისძიებებში საზოგადოების აქტიური ჩართულობა.

შეფასების ინდიკატორები:

სპორტსმენთა რაოდენობის ზრდის და დაოსტატების მაჩვენებლები;



გაუმჯობესებელი ბაზა.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდული საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია მუნიციპალიტეტის მერია .

ა.ბ) ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანება - 130,0 ათასი ლარი.(პროგრამული კოდი 05 01 02 02)

პროგრამის მიზანია: გაერთიანებაში შემავალი სპორტული სახეობათა პოპულარიზაცია და არსებული სპორტული სექციების განვითარების ხელშეწყობა;

პროგრამის აღწერა: ა(ა)იპ - ასპინძის სასპორტო გაერთიანება - გაერთიანების ბაზაზე არსებული სპორტის სახეობათა განვითარება; კერძოდ: ფეხბურთის სექცია, რაგბის სექცია, ძიუდოს სექცია, მშვილდოსნობის სექცია, ბ/რ ჭიდაობის სექცია; - სპორტული და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება; - ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლების და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ხელშეწყობა; - აღნიშნული სპორტის მასობრიობის და ხელმისაწვდომობის პირობების შექმნა; - სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის ვარჯიშების ორგანიზება და შესაბამისი პირობების შექმნა; - გაერთიანების შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება; - სპორტული ტრადიციების შენარჩუნება; - სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო თასების, სიგელების, ჯილდოების შეძენა; - სასპორტო გაერთიანებისათვის სპორტული ინვენტარის, სპეციალური ფორმებისა და სპორტული აღჭურვილობის შეძენა; - სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ორგანიზება; - მწვრთნელთა ოსტატობის ამაღლების მიზნით ტრენინგ-სემინარებისა და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება; - ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება; - სპორტსმენთა ეროვნულ და საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლისათვის სამივლინებო ხარჯების უზრუნველყოფა; - გაერთიანებაში არსებული სპორტის სახეობების გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა სპორტის სფეროში;
- სპორტული განათლების ღონის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტის სფეროში მიღწეული წარმატებები.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ სასპორტო გაერთიანება.

ა.გ) ა(ა)იპ სამცხე ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი ტაო -60,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 03)

პროგრამის მიზანი: რაგბის როგორც სპორტული, გამაჯანსაღებელი სპორტის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ცხოვრების ჯანსაღი წესისა და საზოგადოების აქტიური ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება.

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

-ბავშვთა და მოზარდთა რაგბის განვითარება და მასობრივი რაგბის დამკვიდრება; - პროფესიული რაგბის დამკვიდრება და განვითარება სამცხე-ჯავახეთის მხარეში; აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შექმნილია სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი „ტაო“ , რომლის მიზანია რაგბის, როგორც სპორტული, გამაჯანსაღებელი სპორტის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა რაგბში.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რაგბის სფეროში მიღწეული წარმატებები.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ სამცხე ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი „ტაო“



ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 345,5 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება, ახალგაზრდობის გააქტიურება და მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ სამოქალაქო აქტივობებში მეტი ჩართვა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება. მათი კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტში კულტურული განვითარების პროცესი მიმდინარეობს მოზარდი ახალგაზრდობისათვის და ზოგადად მთლიანი მოსახლეობისათვის. მოზარდი მოსახლეობის კულტურულ განვითარებისთვის ფუნქციონირებს სახელოვნებო, სამუსიკო და სხვა მუნიციპალიტეტის დაფუძნებული ააიპები, ხოლო ზოგადად მოსახლეობის კულტურული განვითარებისათვის ფუნქციონირებს სხვადასხვა ანსამბლები, ბიბლიოთეკა, საბავშვო თეატრი და აგრეთვე ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები. ჩვენი მიზანია შევინაჩუნოთ არსებული მდგომარეობა და ხელი შევუწყოთ მის მომავალ განვითარებასა და გამრავალფეროვნებას მათ შორის ახალ ინიციატივებს რომლის მეშვეობითაც გაიზრდება მოსახლეობის ინტერესი და ჩართულობა.

ბ.ა) ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება-კულტურის ცენტრი -170,0 ათასი ლარი. (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება, ახალგაზრდობის გააქტიურება და მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ სამოქალაქო აქტივობებში მეტი ჩართვა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება. მათი კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტში კულტურული განვითარების პროცესი მიმდინარეობს მოზარდი ახალგაზრდობისათვის და ზოგადად მთლიანი მოსახლეობისათვის. მოზარდი მოსახლეობის კულტურულ განვითარებისთვის ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული ანსამბლი, ფოლკლორული ანსამბლი, მუზეუმი, თეატრი და აგრეთვე ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები. ორგანიზაციაში გაერთიანებულები არიან „თავისუფალი თეატრი“; ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „სამცხე“ და ქართულ ხალხური ანსამბლი „წუნდა“, რომლებიც ცდილობენ აღმოაჩინონ ნიჭიერი ახალგაზრდები და მოახდინონ მათი პოპულარიზაცია, ასევე ინარჩუნებენ ჩვენი რეგიონისათვის დამახასიათებელ ტრადიციული ძირძველი ნაწარმოებების შენარჩუნებას.

პროგრამის ფარგლებში ანსამბლები მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებში, გეგმავენ და ატარებენ სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი კულტურული ღონისძიებებს მოსახლეობისათვის.

ასევე აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლების მინიტორინგს, ტურისტული ბილიკების მოძიება-დაგეგმარებას, ასევე არსებული სამუზეუმო ექსპონატების მოვლა-პატრონობა, მის რესტავრაციაზე ზრუნვას.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა კულტურის სფეროში; ტურისტებისათვის ეფექტური გარემოს შექმნა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩატარებულ ღონისძიებათა რაოდენობრივი და შინაარსობრივი მაჩვენებელი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოვლენილი და აღრიცხული კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიულ-კულტურული ძეგლების რაოდენობრივი მაჩვენებელი. ტურიზმის განვითარებისათვის შექმნილი ეფექტური გარემო. მოვლილი და შენახული სამუზეუმო ექსპონატები.

ქვეპროგრამის განმახორციელებელია ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება-კულტურის ცენტრი.

ბ.ბ) მთავარი ბიბლიოთეკა -65,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 03)

პროგრამის მიზანია: ასპინძის მუნიციპალიტეტის მკითხველ მოსახლეობას ცოდნის ამაღლება ბიბლიოთეკის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნება, გამდიდრება, წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე



ლიტერატურით. პროგრამის მიზანია ასევე სხვადასხვა სახის საბიბლიოთეკო-კულტურული და მხატვრული ღონისძიებების ჩატარება.

